№ 21

პარასკევი, 28 იანვარი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 21

პარასკევი, 28 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

**სამსონ და ივანე სპირიდონის ძენი ელიაშვილები**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნაცნობთა და ნათესავთ გარდაცვალებასა მათის ძვირფასის მამის

## სპირიდონ ივანეს ძის ელიაშვილისა,

სთხოვენ მობრძანდნენ დაბა ყვირილაში პარასკევს, დილით, 28 იანვარს ამ 1900 წ. (1—6.—1)

სამშაბათს, რვა თებერვალს, მეორმოცე დღეს

## ანნა თეოდორეს ასულის უთიევის

გარდაცვალებისას, ქალაქ ნუხაში, მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მეუღლე მისი და მღვდელი დავით უთიევი შვილებით და სიძეებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—270—1)

ქ. ბაქოში გარდაცვალებულის

## თავადის ალექსანდრე დავითის ძის ჭავჭავაძის

გვამს მოასვენებენ ტფილისს დღეს, 28 იანვარს, დილის 8 საათ. და 40 წ. სადგურიდგან მიცვალებულს წაასვენებენ სიონის ტაძარში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი. საღამოს 6 საათზედ კვლავ იქვე იქმნება გარდახდილი პანაშვიდი. (1—272—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 30 იანვარს, 1900 წ.

საბალოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## სკაპენის ცუღლუტობა

კომედ. 3 მოქმედ. თხზ. მოლიერისა. თარგ. ა. წერეთლისა.

II

### ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ

ვოდ. 2 მოქმ. გადმოკ. რ. ერისთავის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძისა, გარელი, აბხაზიშვილი; ბ-ნნი მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, იმერიძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ხუთშაბათს, 3 თებერვალს, ბენეფისი ბ. სვიმონიძისა.

ჟურნალი **„მოამბე"** და გაზეთი **„ცნობის ფურცელი"** უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ დაეთმობათ წელიწადში **6** მანეთად და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს **8** მანეთად.

## ქართველ ქალთა სამკერვალო

სამკერვალო შეკვეთილ საქმეს პირიანად და დროზედ ასრულებს.

მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა-კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ვაადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. ზურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

### მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სალოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ექიმი

### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—85)

### მთავრობის განკარგულებანი

—

გადაყვანილ იქმნა ტემრიუკის სამოსამართლო ნაწილის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი სარაჯიშვილი—განჯის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის სასამართლო საქმეთა უფროს რწმუნებულად.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებას აზრად აქვს გამართოს 1901 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულებისა და სამეურნეო საზოგადოების 50 წლის არსებობის სახსოვრად. ამ გამოფენის გამართვას 80 ათას მანეთამდე დასჭირდება.

*** ტფილისის გუბერნიის სასტატისტიკო კომიტეტმა მოსთხოვა ცნობები კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას იმის შესახებ, თუ წარსულს 1899 წელში ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში რამდენი მოსწავლე ყოფილა ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოების მიხედვით და აგრეთვე რამდენი დახარჯვია საზოგადოებას სკოლის შესანახად როგორც ხაზინისა, ისე სხვა-და სხვა წყაროებიდგან შემოსულ ფულიდგან.

*** როგორც კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში საბაღოსნო სკოლის გამგეობისაგან წარდგენილ ანგარიშიდგან სჩანს, ამ სასწავლებელში წარსულს 1899 წელს ყოფილა 71 მოსწავლე, მათ შორის 40 მართლმადიდებელი, 24 სომეხ-გრიგორიანი, 1 კათოლიკე და 1 მაჰმადიანი. ეროვნების მხრივ ქართველი ყოფილა 33, რუსი—9, სომეხი—29, ოსი—1, აფხაზი—3 და პოლიაკი—1, წოდებით: თავადი—6, აზნაური—18, გლეხი—23, მოქალაქე—10, სასულიერო წოდებისა—8, სამხედრო წოდებისა—2 და სხვანი.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ბრძანებით ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მმართველის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ნიკოლაევის საიმპერატორო საბაღოსნო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ბ-ნი პეტრე პრიტულენკო.

*** „მთავრობის განკარგულებათა და კანონდებულებათა კრებულის" მე-9 ნომერში დაბეჭდილია ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების შეცვლის შესახები ცნობა.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მოსპოს ქალაქის სამკურნალოში ის გადასახადი, რომელიც მიმსვლელ ავადმყოფთ ერთმევათ და დაავალოს სამკურნალო საბჭოს შეცვალოს ამ აზრით სამკურნალოს წესდება.

*** რკინის გზათა დეპარტამენტში ჩქარა დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელმაც კავკასიაში დიდის ხნის განზრახულ კახეთის რკინის გზის საქმე უნდა განიხილოს. ამ გზამ, როგორც ვუწყით, მთელს კახეთზედ უნდა გაიაროს. ამას გარდა იმავე კომისიაში განხილული იქნება საკითხი მეორე რკინის გზის შესახებ, რომელმაც კავკავის გზა ალამენსკის ქარხანასთანა და სადონის მღვიმე-მადაროსთან უნდა შეაერთოს. ამ კომისიაში, რომელსაც თავმჯდომარეობს ე. კ. ციგლერი, მონაწილეობას მიიღებს კავკასიის მთავარ მართებელი თავ. გოლიცინით.

*** ზაფხულში კავკასიაში ჩამოვა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ა. ნ. კრასნოვი. კრასნოვს აზრადა აქვს კავკასიის ზოგიერთის ადგილების გამოკვლევა ბოტანიკურის მხრით.

*** რადგანაც თელავისა, სიღნაღისა და თიონეთის მაზრებში ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელდა ყვავილი, ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ გაგზავნა იქ საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი ყვავილის წინააღმდეგ შესაფერ ზომების მისაღებად.

*** სათანადო დაწესებულება შესდგომია ცნობების შეკრებას იმის შესახებ, თუ 1899 წელს რამდენი ფული მოუნდა კავკასიის თვითოეულს გუბერნიაში კალიისა და სხვა მავნე მწერების ამოწყვეტას და აგრეთვე, რამდენი იქნება საჭირო ამავე საქმისათვის წელს.

*** როგორც „პეტ. ვედ.“ იუწყება, მომავალს ზაფხულში სპარსეთის შაჰი მუზაფრ-ედინი პარიჟის გამოფენის დასათვალიერებლად წავა. პარიჟიდგან შაჰი ევროპის ზოგიერთ მეფეებს ეწვევა; შემდეგ პიატიგორსკში დაჰყოფს რამდენსამე ხანს.

*** რადგანაც ტფილისის სასამართლო პალატის მმართველი ბ. ი. კ. პერეტიატკოვიჩი სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგში წავიდა, იმის თანამდებობის ასრულება დროებით მიენდო პალატის პირველ განყოფილების უფროსს ა. ა. ჯანშიევს.

*** ისე უპატრონოდ და უყურადღებოდ მიგდებული კუთხე, როგორც ეგრედ წოდებული „წყაროს უბანია“, ქალაქში მეორე აღარ გვეგულება. უგზოობისა გამო ხალხი ისეთს გაჭირვებაშია, რომ ერთი ურემი შეშა რომ იყიდოს, ჭავჭავაძის ქუჩის თავში უნდა გააჩეროს და მერე დერ დერობით მიიტანოს თავისს სახლამდის, ასე რომ მიტანა შეშის ფასად უჯდება. იმ უბანში გამოდის წყალი, რომელიც პირდაპირ ქუჩაზე ჩამოდის, რისგანაც ისეა დაღარული და ატალახიანებული ქუჩა, რომ ერთი მტკაველი მშრალი ადგილი აღარ რჩება გამვლელისათვის. ასევეა სხვა ქუჩებიც ავდრისაგან გაფუჭებული და მცხოვრებლებთაგან გადანაქცევ წყლისა და გადანაყარ ნაგვისაგან ატალახიანებული. მით უფრო საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ კუთხეს, რომ ტალახსიბინძურესა და უგზოობის გარდა, ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაშია უმრავლესობა სიღარიბისაგან.

*** 24 იანვარს, ტფილისის მოქალაქემ ს. ლუკასოვმა განუცხადა მე-8 ნაწილის პოლიციის ბოქაულს, რომ ჩემმა მოსამსახურემ გლეხ. ალექსი გამყრელიძემ მომპარა სხვა-და-სხვა ტანისამოსი, ღირებული 75 მანეთადაო.

*** ნაძალადევში მცხოვრებთ ს. ნოზაძემ, ი. ფუხაშვილმა, ს. სიდამონიძემ და ნ. გაბათაშვილმა გამოუცხადეს მეათე ნაწილის პოლიციის ბოქაულს, რომ 24 იანვარს, საღამოზედ, შინ არ ყოფნის დროს, ვიღაცას გაეტეხა ჩვენი სახლი და მოეპარა იქიდგან სხვა-და-სხვა ტანისამოსი, ღირებული 282 მანეთად. ქურდების აღმოსაჩენად ზომები იქმნა მიღებული.

## საქველ-მოქმედო კომიტეტის კრება

26 იანვარს, საღამოს რვა საათზედ, ტფილისის გუბერნატორის სახლში მოხდა მეხუთე კრება ახალქალაქში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა საშემწეობოდ დაარსებულის ტფილისის უმთავრესის კომიტეტისა. წინა სამი კრების ოქმების დამტკიცების შემდეგ, მდივანმა მოახსენა, რამდენი ფული შემოსულა ერთის კვირის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ გუბერნატორის სახელობაზედ მოსულა 9,352 მ. 23 კ. შემოწირულება გამოუგზავნიათ იმპერიის სხვა და სხვა ადგილიდგან. შემომწირველთა შორის არიან: მღვდელნი, ვაჭარნი, უბრალო ჯარის-კაცნი, ყაზახები და სხვანი. ბევრი შემოწირულება თითო მანეთს არ აღემატება.

ახალქალაქის კომიტეტს გადაუწყვეტია დახმარება აღმოუჩინოს აგრეთვე დაზარალებულ მღვდლებისა, ვაჭართა და მამულის პატრონთათვის. მაზრის უფროსი ხიზერმანი არ დასთანხმებია ამ გადაწყვეტილებას და მოახსენა ტფილისის უმთავრეს კომიტეტს ეს გარემოება. ტფილისის კომიტეტმა განუმარტა ახალქალაქისას, რომ დახმარება შეიძლება აღმოუჩინოს დაზარალებულ სოფლის სამღვდელოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მღვდლების ნივთიერი ყოფამდგომარეობა არაფრით განირჩევა გლეხ-კაცობის ეკონომიურ მდგომარეობიდგანაო. ხოლო როცა დახმარებას ითხოვენ მამულის პატრონნი და ვაჭარნი, მოხსენდეს ხოლმე უმთავრესს კომიტეტს, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს, ვის მიეცეს დახმარება და ვის არაო.

ამას შემდეგ უმთავრესმა კომიტეტმა განუმარტა ახალქალაქის კომიტეტს, რომ მუშების დაქირავების დროს სხვა და სხვა უპირატესობა უნდა მიეცეს დაზარალებულ ხალხსაო. მაგრამ რადგან ესენი უფრო მცირედს ფასსა სჯერდებიან, ვიდრე დურგლები, ამისათვის ახალქალაქის კომიტეტს გადაუწყვეტია დურგლები აღარ მოიწვიოს სამუშაოდ. ტფილისის კომიტეტმა მისწერა, რომ დურგლების მარჯვეები ერთი ორად მეტს გააკეთებენ, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრთა და ამის გამო უსაფუძვლოდ გადაგიწყვეტიათ დურგლების არ მოწვევაო. ესეც რომ არ იყოს, დურგლებმა იმდენი სიკეთე დასდეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ხალხს, რომ მათი განდევნა მუშაობიდგან უსამართლობააო.

საგუბერნიო ვეტერინარმა მაკაროვმა, რომელიც გაგზავნილი იყო ბარალეთის სამამასახლისოში დახოცილ საქონლის დასაწვავად, მოახსენა კომიტეტს, რომ სულ გაწყვეტილა 2570 სული სხვილი და მოცადი საქონელიო. უკვე დაუწვამთ ნავთის გადასხმით 387 სული, ნადირსაც ბევრი შეუჭამია და მხოლოდ გამოხრული ძვლები-ღა ჰყრია სიფერეშია. ძვლებს აგროვებენ და სწვავენ. თითო საქონლის სულის დაწვა დამჯდარა თითო მანეთი.

საქონლის ამოთხრის დროს უბედურების ასაცილებლად მიეწერა ახალქალაქის მაზრაში მყოფს ინჟინერ ანტონოვს დაქცეულ სახლებს ჩამოაცალოს ხოლმე მიწა, თავხეები და შემდეგ ამუშაოს მუშები. ებრძანა აგრეთვე ახალქალაქის კომიტეტს, რომ სამუშაოდ გამოყვანილ ხალხს სათითაოდ დაურიგდეს სამუშაო წიგნაკები, საცა უნდა ჩაიწეროს,—ვინ რამდენი დღე იმუშავაო. უამისოდ უთანხმოება მოხდება და ეს კარგი არ არისო.

კომიტეტს მოხსენდა აგრეთვე, რომ სოფლად დარიგებულ ურჩინო ხალხს რიგიანად და მაძღრისად ვერ ასაზრდოებენო. ამისათვის კომიტეტმა გადასწყვიტა: სამის მანეთის მაგიერ სულზედ გამოსაკვებად მიეცეს 4 მან. თვეში და მოწვეულ იქმნას ერთი განსაკუთრებული მკურნალი თვეში 300 მან., რომლის მოვალეობა უნდა იყოს იაროს სოფლად, სადაც დაბინავებულია დაზარალებული ხალხი, თვალ-ყური ადევნოს,—როგორ ასაზრდოვებენ. უწმინდოს მათ და შესაფერი ღონისძიებანი იღონოს გადამდების სენის თავიდგან ასაცილებლად. მკურნალს დახმარებას აღმოუჩენენ ორი სოფლის მასწავლებელი და ი. ალიბეგოვი. მკურნალის მოწვევა მიენდო საგუბერნიო მკურნალს ტ. ს. ქიქოძეს.

ამავე საღამოს მოხსენდა კომიტეტს, რომ მათის უწმიდესობის სომეხთა კათალიკოზის რწმუნებული არქიმანდრიტი მათეოსი ჩამოვიდა ახალქალაქს, თან მოიტანა 1500 მ. და ამ ფულით აპირებს იყიდოს საცვალი, ტანისამოსი და ფეხთ-საცმელი, რომ პირადად თითონ დაურიგოს დაზარალებულთაო.

## გ. წერეთლის გვამის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვანი:

ი. ფანცხავას მიერ ქ. ფოთში.

De mortuis aut bene, aut nihil.

ბატონებო! ახლა, ამ წუთში, ჩვენ საშვილიშვილოდ გადვიხადეთ გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებელი. უეჭველია, საჭიროა ჩვენს თავს დავეკითხოთ, ვინ იყო ეს გიორგი წერეთელი და რა გაუკეთებია ჩვენთვის.

გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი იყო შვილი ღარიბი აზნაურიშვილისა და მისი ბედიც ისეთივე უნდა ყოფილიყო, რა ბედიც მოელით ხოლმე უმეტეს ნაწილს ჩვენის განებივრებულის წოდებისას. მაშინ არც ერთი ჩვენგანი თავს არ შეიწუხებდა გიორგის სულის მოსახსენებლად; მაგრამ ბუნებამ ისურვა იგი გამოერჩია დანარჩენებთაგან და მას შთაბერა სული უკვდავი, ე. ი. მიჰმადლა ნიჭი ბეჯითი შრომისა და შემოქმედებისა. ეს ორი პირობა-კი ხომ უტყუარი საბუთია, რომ მას ნაყოფი გამოეღო. და ხომ მოგეხსენებათ, რომ „ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს“. დიახ, გიორგი წერეთელი მის მიერ გამოღებულმა ნაყოფმა, საქართველოსა და ქართველებისათვის კეთილის მომგვრელმა, დღეს საცნაური გახადა ყველა ქართველისათვის და იმ დრომდე, ვიდრე ქართველი ერი არ აღიგვება პირისაგან დედამიწისა. რა ნაყოფია ეს ნაყოფი?—ახლავე მოგახსენებთ.

გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი ეკუთვნის სამოციან წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს ის გუნდი იყო, რომელმაც სამშობლოს წინაშე ჯანნიბალისებური ფიცი დასდო, რომ იგი ან საეროლიტერატურას შექმნიდა და ხალხს ეროვნულად გაანათლებდა, ან გასამტვერდებოდა. მერმე იცით კი, რა მძიმე და საშიში იყო ამის განხორციელება მაშინ? ეს ის დრო იყო, როცა უმეტესი ნაწილი ჩვენის ერისა მონობის უღელს ქვეშ უსიხარულოდ ჰქლევდა დღეთ. ეს ის დრო იყო, როცა დათაკოებისთანა კაპიტანები *) ამ ხალხის უმეტესობას საქონელზედ ნაკლებად აფასებდა და მისდა მიმართ არავითარ პატივისცემასა და მოკრძალებას არა ჰგრძნობდა. მეორე მხრივ ეს ის დრო იყო, როცა მეორე ნაწილი ერისა, რასაკვირველია უმცირესი, „მარილი ქვეყანისა“ და „ნათელი სოფლისა“ სამშობლოზედ ზრუნვას გულ-აცრუებული იყო (რადგან იმ დროს საქართველოს ბეჭენი ავრილნი იყვნენ) და დაუსრულებელს ლხინსა და ქეიფს ეძლეოდა ამით წაქეზებული. ერთმანეთს ეცილებოდნენ არა სამშობლოსათვის ზრუნვით, არამ

*) იხ. „გლახის ნაამბობი“.

# ფელეტონი

## თაფლი, მისი ზედმოქმედება ადამიანისს სხეულზედ და მისი მოგზადება

ყოველის ნაწარმოებისათვის საჭირო ბაზარი და თუ ეს ბაზარი, გასავალი, არა აქვს, წარმოებაც დაეცემა.

ეს ბედი სწვევია, ცოტად თუ ბევრად, მეფუტკრეობასაც. ვის არ გაუგონია, რომ წინედ თაფლი დიდს ხმარებაში იყო, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც ზლაპარსაც არ იტყვიან ისე, რომ თაფლი არ ახსენონ. მაგრამ როდესაც ოჯახში სახმარებლად თაფლის ადგილი შაქარმა დაიჭირა, რომელსაც ბლომად და უფრო იაფად აწოდებს ხალხს ქარხნები, თაფლს მაზანდა წაუხდა და მეფუტკრეობა დაქვეითდა, ეხლა თაფლს, ან იმისგან გაკეთებულ ტკბილეულობას მხოლოდ ახალ წელიწადს თუ შეხვდებით ოჯახებში, თორემ ძვირად ჰხმარობენ, სოფლის ექიმების გარდა, რომელნიც წამლად ჰხმარობენ სხვა-და-სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ამ ბოლოს დროს როგორც მთელს ევროპაში, აგრეთვე რუსეთშიაც ყურადღება მიაქციეს მეფუტკრეობას. თურმე ეხლანდელი რუსეთის მეფუტკრეობა რუსეთს მეტად ვერ აკმაყოფილებს. 1897 წლის განმავლობაში (Вѣстникъ Русск. общ. пчеловодства 1898 года № 12) საზღვარ-გარეთიდგან შემოსულა რუსეთში 120 ათასი ფუთი სანთელი და 1898 წელს-კი 172 ათასი ფუთი სანთელი; თაფლი-კი 1897 წელში შემოსულა 3.000 და 1898 წელში 2,000 ფუთი. მთელს რუსეთს სჭირდება წელიწადში 276 ათასი ფუთი სანთელი. მეფუტკრეობამ რომ აიწიოს და ეს სანთელი რუსეთის მეფუტკრეებმა მისცეს ეკკლესიებს, მაშინ, თუ თაფლის ხმარება ამ მდგომარეობაში იქმნა, როგორც დღეს არის, მეფუტკრეებს მილიონ ნახევარ ფუთამდე თაფლი გაუყიდველი დარჩებათ და იძულებული იქმნებიან საზღვარ-გარეთ ეძებონ ბაზარი. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ბოლოს დროს თაფლს დიდს ყურადღებას აქცევენ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მაინც დიდი გასავალი მოელის.

მეცნიერულის თვალით რომ შეხედეს თაფლს, აღმოჩნდა, რომ შაქარს თაფლის მაგიერობა ყოველ შემთხვევაში არ შეუძლიან. თუმცა შაქარი სიტკბოთი სხვა-და-სხვა სასმელსაჭმელში სახმარებლად თაფლზედაც უკეთესი ჰგონიათ, მაგრამ რაიცა შეეხება ჯან-მრთელობისათვის სარგებლობას, მათ შორის დიდი განსხვავება ყოფილა.

შაქარი მხოლოდ ერთის მარტივი საგნისაგან (ლერწმის შაქრისაგან) შესდგება და იმაში ურევია სხვა რამე მასალა, ისეთი ქიმიურ ნივთიერების ნაშთი, რომელსაც მექარხნეები ჰხმარობენ მის გასაწმენდად და სასიამოვნო ფერის მისაცემად და რომელსაც, მკურნალების აზრით, უეჭველი ვნება მოაქვს კუჭისა და კბილებისათვის.

თაფლი-კი (Новь, Мозайка 1899 года, № 1) არის ნაყოფი სხვა და სხვა ნაზ მცენარის წვენისა და შეიცავს ჩვენის სხეულისათვის უსაჭიროეს ნაწილებს; ამ მასაზრდოვებელ ნაწილებს ფუტკარი თითონ უმატებს კიდევ ისეთ ნივთიერებას (Муравиная кислота), რომელიც არა ნაკლებ საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

თაფლი თურმე თითქმის მთლად და ადვილად ემატება სხეულს; იგი შესანიშნავად ახალისებს სისხლს, რომლის პატარა ბურთებს პირდაპირ უერთდება და ამაგრებს მთელს სხეულს.

ყოველ ნაირ დასუსტებულ სნეულისათვის თაფლი უეჭველი წამალი ყოფილა; მას დიდი გავლენა ჰქონია მოხუცებულობის სისუსტეზედაც. შესძლებია დიდად გაუადვილოს კუჭს საჭმლის მონელება, თუ საჭმლის შემდეგ იხმარებს ადამიანი.

იმას გარდა, რომ თაფლი დიდად მარგებელი ყოფილა კაცისათვის, როგორც საზრდო და წამალი მრავალი ავადმყოფობის წინააღმდეგ, კიდევ ერთი შესანიშნავი ზედ გავლენა ჰქონია გადამდებ ავადმყოფობის წინააღმდეგაც, როგორც მოგვითხრობენ გამოცდილი მკურნალები!..

ადამიანის სისხლის პატარა თეთრი ბურთები წინააღმდეგობას უწევენ ყოველ გადამდებ ავადმყოფობის ბაქტერიებს, რომელნიც ხშირად ჩადიან სხეულში და მრავლდებიან. თუ ეს ბურთები სუსტნი არიან, წინააღმდეგობას ვეღარ შესძლებენ, მოიწამლებიან და, რასაკვირველია, მთელი სხეულიც მსხვერპლი გახდება ბაქტერიებისა. თაფლი ამ შემთხვევაში, ერთის მხრივ, ასაზრდოებს, ამაგრებს, ამ თეთრ ბურთებს, რომ ღონივრად დახვდნენ მტერს და, მეორეს მხრივ, ერთ ნაირი მისი ნაწილები (эфирное масло и муравиная кислота) პირ და პირ ჰხოცავენ იმ დაუპატიჟებელ სტუმრებს—ბაქტერიებს. ეს თვალსაჩინოდ დაუმტკიცებიათ მკურნალებს იმით, რომ უცდიათ თაფლში გაემრავლებინათ სხვა-და-სხვა ბაქტერია. მაგრამ გამრავლების მაგივრად სულ დახოცილან.

ამის შემდეგ გასაკვირველი აღარ არის, რომ თაფლს ბევრგვარ ავადმყოფობის წინააღმდეგ ჰხმარობენ სოფლის ექიმები და დიდ დახმარებასაც უწევენ ამით ავადმყოფებს. გამოცდილი მკურნალები გვირჩევენ: თუ გინდათ, ბავშვები ჯანსაღი და გადამდებ ავადმყოფობისაგანაც დაცულნი იყვნენ, შაქრისა და კანფეტების მაგივრად თაფლი აჭამეთო (იგივე „Мозайка“). რაიცა შეეხება იმ უსაფუძვლო ხმებს, ვითომ სატკბურიან (Золотуха) ბავშვებს თაფლი ვნებთო, ეს სიცრუეა არის; თაფლი არა თუ არა ვნებს, არჩენს კიდეც სრულიად ასეთ ავადმყოფ ბავშვებსო. ეს თვალსაჩინოდ დაგვისაბუთა ჩვენებურმა მკურნალმაც ბ-ნმა ვართანოვმა მეფუტკრეთა საზოგადოების კრებაზედ ტფილისში.

თუ უნდა ადამიანსა, ამბობენ მკურნალები, თავისი სხეული დაიცვას სისუსტისა და ავადმყოფობისაგან, ყოველ დღე სჭამოს წმინდა თაფლი რამოენიმე საჭმლის კოვზი, თუნდა ჩაიზედ, თუნდა პურთან ერთად და თუნდა წყალში, მხოლოდ თაფლი კი წმინდა უნდა იყოს.

თაფლს რომ მართლა დიდი სარგებლობა მოუტანია ავადმყოფებისთვის, ამას არა ერთი მაგალითი გვიმტკიცებს. რიაზანის ერთი მაზრის მცხოვრები ნ. მ. კრიუკოვი მოგვითხრობს („Вѣстникъ Русскаго Общества Пчеловодства“ 1899 г., № 8), რომ სხვა და სხვა ავადმყოფობით ყოფილა ავად—სატკბურით, მუცლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ იმითი, ვინ ვისზე მეტს ვალს აიდებდა და მაშინდელს სასახლეს ქვივითსა და უზომო ხარჯით ტოლობას გაუწევდა. ეს ის დრო იყო, როცა სამშობლოს არე-მარეზედ მარტო-ოდენ საბრალო „ცისკარის" გულ საკლავი, გლოვის ზარზედ მომართული ხმა სუვდიანი გაისმოდა. ეს ის დრო იყო, როცა, ზოგტის სიტყვით, სამშობლოს მიდამოზე სრული მყუდროება ჰსუფევდა, რასაკვირველია, მყუდროება საზოგადოებრივის უმოქმედობისა გამო:

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!!
„მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
„ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
„ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა".

უეჭველია, იმ გაფაცებულთა მცირე გუნდს ეს კვნესა ღრმად გულში ჩაწვდენოდა, რომ ასე მედგრად და ასე მხნედ შეებრძოლნენ მიზეზთ ამ კვნესისას. საქმე ფრიად საძნელო იყო, მე მათა გუნდი-კი ფრიად მცირე, ისე მცირე, რომ ერთი მაშინდელი მესვეურთაგანი ასე ჰგოდებს:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
„ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
„რომ შენს მიწაზედ ამდენს ხალხში კაცი არ არის,
„რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო"!

აი, ასეთ მდგომარეობაში ამ მცირე გუნდს გვერდში ამოუდგა გიორგი წერეთელი, ბუნების მიერ მდიდარ აღმაფრენით უხვად დაჯილდოვებული. ეს იყო 1862 წ., როცა გიორგი წერეთელმა, ჯერ ისევ კურს დაუმთავრებელმა სტუდენტმა, „ცისკარში" პირველი თვისის გონების ნაწარმოები დასტამბა, რომელშიაც წარმტაცის გრძნობიერებით მკითხველს ალს უკიდებს, საუბრობს რა ჩვენს საერთო ჭირ-ვარამის გამო. ჩვენ ახლა არც-კი შეგვიძლიან სისრულით და ღრმად ვიგრძნოთ ის, თუ რა გრძნობა დაუტრიალდათ გულში იმ ორიოდე მოღვაწეთ, როცა ეს ნიჭიერი მუშაკი გვერდში ამოუდგათ. მას აქეთ დღემდე გიორგი წერეთელი ჩვენს ლიტერატურას და სამშობლოს საერო საქმეთ აღარ განშორებია.

მრავალ გვარია მოღვაწეობა გიორგი წერეთლისა, სალიტერატურო ასპარეზზედ ლიტერატურის თითქმის ყველა დარგს მოსჭიდა მან ხელი, თუმცა ბუნებას იგი მხოლოდ და ოდენ ბელლეტრისტად დაებადა. ამ სარბიელზედ გ. წერეთელს ჩვენში ტოლი, ბადალი არა ჰყავს. მისი მოთხრობანი: „ჩვენი ცხოვრების ყვავილი", „გულაბზიკა, ნიკოლიკო და ჩიკოლიკო" (მგზავრის წერილები), „მამიდა ასმათი", „რუხვი მგელი" და ორი რომანიც: „პირველი ნაბიჯი" და „გუდქანი"—არა თუ ჩვენს ღარიბს ლიტერატურას ამშვენებენ, არამედ ჩვენზედ უფრო ბედნიერ ერთა ლიტერატურაშიაც-კი სასიქადულო ნაწარმოებად ჩაითვლებოდნენ. ყველა ამ ნაწარმოებში გ. წერეთელს ეტყობა ღრმა დაკვირვებითი ნიჭი, ოდნავ დამცინავი, შემპარავი კილო, დიდი ცოდნა ჩვენის ერის ყოველდღიურ ცხოვრებისა, მის ზნე-ჩვეულებისა და ცრუ მორწმუნეობისა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მისი მკვირცხლი ნიჭი ისე ღრმად სწვდება ცხოვრებას, რომ ჩვენში ერთად-ერთი გ. წერეთელია, რომელიც ნამდვილ ცხოვრებაში ახალ ტიპებს აღმოაჩენს ხოლმე და ხასიათებს ჰქმნის.

პირველი მოთხრობის გმირი — დიტო — თვითონ გ. წერეთელია. მისდა მიუხედავად, რომ დიტო აუტანელ გარემოებათა შორის იზრდება და უზნეო ამხანაგთა და უმეცარ მასწავლებელთა გავლენას ოდნავ განიცდის ხოლმე, იგი მაინც კეთილის სიყვარულით არის გატაცებული; მას იტაცებს ვრცელი ცოდნის შეძენა; მას უკვე შესწავლილი აქვს ჩვენი ძველი მწერლობა; მას უკვე მკალ-რბილში გასჯდომია ეროვნული თავმოყვარეობა და იგი, გ. წერეთელსავით, გატაცებულია ბუნების მეცნიერებით: მისი სურვილია ქვეყანა და მსოფლიო შეისწავლოს, ბუნების ხატებას მისწვდეს, რათა ამით, განძლოს, ბინა და ადგილი მოუმზადოს თავისს სახალხს—სამშობლოს, თავისს საყვარელ ერს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენში გ. წერეთელი პირველია, რომელიც ხარბად და ლაღად დაეწაფა ვრცელსა და ღრმა ნაკადულს მაშინ ახლად ფეხ-ადგმულის ბუნების მეცნიერებისას. ამ გარემოებას უმნიშვნელოდ როდი ჩაუვლია. გ. წერეთელმა, ცოტად თუ ბევრად, გვარიანი და მომარჯვებული ტერმინები შეადგინა ბუნების მეცნიერებაში (იხ. „საუკეთესო ცოდნა"). ამ პირველსავე მოთხრობაში გ. წერეთელს ეტყობა მეტად მლიერი დაკვირვებითი ნიჭი (მოიგონეთ, გახრილი, თასმასავით დაქნილი დიტოს დალა-თონიკე). შემდეგ მოთხრობებში-კი გ. წერეთლის საბელლეტრისტო ნიჭი უფრო იშლება, ფართოვდება და უკვე ტიპებს ატანს ხელს. მისი გულაბზიკა თვისის ჯორითურთ უკვდავი ტიპია. გ. წერეთელმა ჩვენში პირველი რომანი დასწერა—პირველი ნაბიჯი—და იქ დაგვიხატა სვე ბედი ბასკა ფულხასისა, რომელიც პირველი შვილია ახალ დროთა ვითარებისა. ყველა ამ ნაწარმოებში გ. წერეთელი სიყვარულით და ცოცხლად იკვლევს თავისს საგანს. ყველგან გამოსჭვივის გონიერის კაცის მსხვილი, დამცინავი, თუმც მოსიყვარულე ნიჭი. არსად მოთხრობაში ძალდატანება არა სჩანს, მიმდინარეობა ბუნებრივია. არსად მკითხველი დაღალულობას არა ჰგრძნობს, ისე ნებივრად და ლაღად ატარებს თავისთან და თავისს გმირებთან მას გ. წერეთელი. ყოველგან შემოქმედებითის ნიჭის მადლი სჩანს და მეტად მდიდარი აღმა-ფრენა, ენა გ. წერეთლისა ყოველგან მკვირცხალია, მსხებავი, ადვილ-გასაგები და მოკლე სიტყვა ჰხიბლავს მკითხველს, რადგან შექსპირისა არ იყოს—„მოკლე სიტყვა სულია ჭკუისა, გრძელი სიტყვა-კი მხოლოდ ჭკუის სამოსელია". ამ მხრით, ბელლეტრისტიკაში გ. წერეთელმა ღრმა კვალი გაავლო და ვერავინ-და ვერც ვერაფერი ვეღარ წაშლის ამ კვალს. მის კვალს ბევრი ჩაუდგა, მაგრამ მისი საქმის მესაფერი განმაგრძელებელი ჯერ არა სჩანს-კი. ამის მეტიც რომ არა გაეკეთებია-რა გ. წერეთელს, ესეც საკმაო იყო, რომ იგი ყველა ქართველისათვის, ვიდრე ქართველი ქართველობს, საცნაურ იყოს.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

სახელმწიფო საბჭოში გზათა უწყების სამინისტროს 1900 წლის საგანგებო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს გაირკვა, რომ საჭიროა გადაიდოს 10 მილიონი მანეთი კრედიტი, რათა შეუდგნენ მუშაობას იმ რკინის გზის გაყვანისას, რომელმაც შუა-აზიის გზა ევროპის რკინის გზებს უნდა შეუერთოს (ტაშკენტო-ორენბურგი). ეს გზა სიგრძით ორიათასამდე ვერსი იქნება და 100 მილიონ მანეთამდე ეღირება.

— უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ თუ საჯარო ვაჭრობით მამული დარჩა ვისმე და მან ამ მამულის შეძენის უფლება სხვას დაუთმო, დასამტკიცებელი გარდასახადი უნდა გამოერთვას იმასაც, ვინც მამულს შეისყიდის და ამ მამულის დამთმობსაცაო.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში აღძრულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ყოველს გუბერნიაში დაარსდეს განსაკუთრებული შინა მრეწველობის ბანკი ისეთი, როგორიც პერმში არსებობს.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისის მინისტრები, პარლამენტის წევრები და ჟურნალ-გაზეთები ყველანი ერთ-ხმად გაიძახიან, რომ ახალი ჯარები უნდა გავგზავნოთ სამხრეთ აფრიკაში და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე განვაგრძოთ ბრძოლაო. ჩემბერლენმა, მაგალითად, განაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ რამდენისამე კვირის განმავლობაში 200 ათასი ჯარის კაცი გვეყოლება სამხრეთ აფრიკაშიო. თუ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ ინგლისს ამ ჟამად 100 ათას კაცამდე ჰყავს ბრძოლის ველზე, გამოდის, რომ მთავრობას გადაუწყვეტია, 100 ათასი კაცი კიდევ გაჰგზავნოს. გაზ. „Globe"-ს აზრით, ერს სურს დარწმუნდეს, რომ მინისტრები არ დააყოვნებენ 50—100 ათასი კაცის გაგზავნას სამხრეთ აფრიკაში, რათა ომი განაგრძონ და ინგლისის სასარგებლოდ გაათაონ, რომ აფრიკანდიორებს მოუსპონ ყოველივე იმედი დამოუკიდებლობის შესახებ.

„ტიმეს"-ი იმ აზრისა არის, „რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაეცემა ლედი სმიტი. ინგლისი უნდა მოემზადოს ამ უბედურ ამბის შეტყობისათვის. ინგლისის ჯარები ისეთს მდგომარეობაში არიან ამ ჟამად, რომ ხელის განძრევა არ შეუძლიანთ. იმის განძრომბისათვის კიდევ 100 ათასი კაცის გაგზავნაა საჭირო. ეს რიცხვი ბევრს გაზვიადებულად მოეჩვენება, მაგრამ გარემოება ამაზედ ნაკლებს არ თხოულობს". მხოლოდ „Daily News"-ი არ ეთანხმება სხვებს და ამბობს, რომ ადვილი სათქმელია—კიდევ გაიგზავნოს 50 ათასი კაციო, მაგრამ სად ვიშოვნოთ ამდენი ჯარიო. გაზეთი თხოულობს, გამოძიებულ იქმნას მიზეზები ბრიტანიის მხედრობის დამარცხებისა, მაგრამ იმავე დროს სურვილს აცხადებს, რომ ამ გამოძიებამ არ დაბრკოლოს მთავრობა, რომელსაც საზოგადოება ხელს უნდა უწყობდეს ინგლისის სახელისა და დიდების დაცვაში.

## დამჯერდი

თვით მალესაც-კი არა აქვს ის მლიერება, რაც სიმშვიდეს.

ლეი ჰუნტი

***

უცოდო კაცს იერის, ცოდვიანი—ჰკვდახს.

რუსული ანდაზა

---

ლით, თავის ტკივილით, თირკმელების ტკივილით, გულის ფრიალით, ქშენითა და ძარღვების სისუსტით. მოუვლია მთელი რუსეთის ქალაქები, არ დაუტოვებია არც ერთი გამოჩენილი მკურნალი, ბოლოს განსვენებულ ზახარინთანაც-კი ყოფილა, მაგრამ არაფერი არა ჰშველებია. გადაუწყვეტია, სიკვდილის მეტი აღარა დამრჩენია რაო და დაუნებებია თავი მკურნალებისათვის. 1897 წლის ოქტომბერში ვიღაცას ურჩევია,—გულის ტკივილის წინააღმდეგ თაფლით იწამლე, ყოველ დღე სჭამეო. იმისაც დაუწყია თაფლის ჭამა ყოველ დღე $^1/_8$—$^1/_4$ გირვანქამდე ჩაიში შაქრის მაგივრად და ერთის თვის შემდეგ თითქმის სრულიად განთავისუფლებულა არა თუ მარტო გულის ტკივილისაგან, არამედ ყველა სხვა ავადმყოფობისაგანაც. ამის შემდეგ შაქრის მაგივრად თაფლსა ჰხმარობს თურმე, წელიწადში სჭამს ორ ფუთამდე. და ეხლა ისე გამომრთელებულა, რომ აღარც-კი ახსოვს თუ ოდესმე ავად იყო.

დმიტრიევსკის მაზრაში (ВѢСТНИКЪ Р. об. Пч., 1899 წ. № 7") სცხოვრობს 128 წლის მოხუცი მეფუტკრე როდიონ მეფვედევი. ეს მოხუცი სიყმაწვილიდგან ფუტკრებს უვლის თურმე და დღესაც ისე ჯანსაღია, რომ უწინდებურად განაგრძობს თავისს ხელობას. ამასთან საკვირველი მხედველობა და ხსოვნა შერჩენია: ისე გიამბობთ თურმე ფრანგების 1812 წელს შემოსევის ამბავს, როგორც გუშინ მომხდარს.

თაფლი რომ დიდად სასარგებლო საწოვაგე ყოფილა, ამ მხრივ დღეს ეჭვი აღარავის უნდა ჰქონდეს, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ხშირად ძლიერ მარგებელი საჭმელი, ან სასმელი მავნებელი ხდება მისის ცუდად მომზადების გამო. თაფლიც მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როდესაც იგი კარგად არის მომზადებული, არა აქვს დაკარგული თავისი მაკურნებელი თვისება და შიგ შერეული არ არის ისეთი გარე ნაწილები, რომელნიც სხეულ ჰვნებენ. მე აქ მხედველობაში არა მაქვს ის თაფლი, რომელიც ბუნებითვე მავნებელია, რომელიც საქართველოს ზოგიერთ ადგილას მოიპოვება და მათრობელ თაფლს უწოდებენ.

რუსეთში ვაჭრები მოგებისათვის თაფლში ურევენ სხვა-და-სხვა იაფ ნივთიერებას, რომელიც, იმას გარდა რომ გემოსა და სურნელოვანებას უკარგავს, მავნებელიც არის. ამას უბრალო ხალხი ყურადღებას არ აქცევს, ან ვერ ამჩნევს, და უფრო ეტანება ამისთანა თაფლს სიიაფისათვის. მთავრობამაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და სასტიკადა სჯის, ვინც ნანდვილის თაფლის სახელით ჰყიდის ამისთანა თაფლს (патока).

ჩვენში, ვგონებ, ამ ნაირად თაფლის დამახინჯება ხშირად არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, რომ იცოდეთ, თუ როგორ ამზადებენ გლეხები თაფლს, რომელსაც ორ შაურად იყიდით გირვანქას, იმას პირში არ ჩაიდებდით. აი როგორ ამზადებენ გლეხები ამ თაფლს: აიღებენ რამდენსამე სკას თავისს საფუტკრედგან და ჩაჰყრიან წყალში. (უნდა გახსოვდეთ, რომ სკაში ხშირად, მესამედი თუ არა, მეოთხედი მაინც ფიჭებისა ცარიელი რჩება და ეს ცარიელი უჯრები ფიჭებისა წყლით გაივსება). როდესაც ფუტკრები სრულიად დაიხრჩობიან, ამოიღებენ ამ სკებიდგან სულ მთლად ფიჭებს. ამ დროს ფიჭების ცარიელი უჯრები ზოგი წყლით არის სავსე და ზოგი დამრჩვალის ფუტკრებით, რომელნიც თავისს საშველად შემალულან.

ამას გარდა ზოგიერთ უჯრებში არიან კიდევ ფუტკრების მატლებიც, რომელნიც ჯერ ფუტკრებად არ გადაქცეულან, და ხშირად მრავალი ბუჩნის (ფუტკრის მავნებელი მწერია) მატლები და მისი ბუდეებიც. ამ ნაირ ფიჭას ამისთანა სანელებლებით ჩაჰყრიან მოუკალავ სპილენძის ქვაბში და შესდგამენ ცეცხლზედ. როდესაც თაფლი გადნება, გათხელდება და ფიჭაც იმდენად გაცხელდება, რომ კაცს ხელის მოკიდება შეეძლოს, დაიმკლავებს ხელმარჯვე კაცა და ამოსწურავს ქვაბიდგან სანთელს—ფიჭას. ამ ფიჭებში ფუტკრებს მთელი ზაფხული და გაზაფხული ბარტყები გამოჰყავდათ და თუმცა ყოველთვის სწმენდნენ ხოლმე, მაგრამ, ბარტყების პერანგები, უჯრების კედლებზედ თხლად მიკრული, და სხვა უწმინდურება, რომლითაც უჯრები შეღებილია, მაინც შიგ რჩებათ. როდესაც გაცხელებული ფიჭა ხელით იწურება, ცეცხლი ადნობს ამ უწმიდურებას, რომლითაც შეღებილია ფიჭა და ქვაბში რჩება წყალ-შერეულ თაფლთან ერთად. იმას გარდა, რომ ამისთანა თაფლს ფერიც უსიამოვნო აქვს, იგი მოკლებულია იმ სურნელოვანებას და მაწიერობას, (?) რომელიც ცეცხლზე გადნობის შემდეგ განქარდა. ამისთანა თაფლი (თუ შეიძლება ამას თაფლი ვუწოდოთ) სარგებლობის მაგიერ მავნებელიც კი უნდა იყოს ადამიანის სხეულისათვის.

ამიტომაც არის, რომ სოფლის ექიმები არასოდეს არ ჰხმარობენ ამისთანა თაფლს. ისინი მხოლოდ უცეცხლო თაფლს ჰხმარობენ, რადგანაც კარგად იციან, რომ ამ ნაირად ცეცხლზედ გამდნარი თაფლი თავისს ძალასა და თვისებას ჰკარგავს.

ნამდვილი მეფუტკრეები-კი ასე იქცევიან: აარჩევენ წმინდა ფიჭას, გასჭრიან საპატყო ფიჭებს ისევ ფუტკრებს უტოვებენ სკებში, ჩასდებენ სატრიალებელ მანქანაში (центрофужъ), გამოასხმენ წმინდა, ანკარა, თაფლს და ჩაასხმენ ჰურკლებში. თუ როგორმე პაწია ფიჭის ნაგლეჯები ჩაჰყვა, ამას რამდენისამე საათის შემდეგ პირზედ მოიგდებს. ამას რომ ააცლიან, დარჩება წმინდა თაფლი, ყოველ გარე-ნაწილებს მოკლებული.

არ იფიქროთ,—მარტო ამ სატრიალებელ მანქანით შეიძლებოდეს ასეთის თაფლის მომზადება. გააკეთებინეთ ორი დიდი თუთრის თუნუქის ვედრა ერთი მეორეზე დადგმული, ზედა ვედროს წვრილად დაუხვრიტეთ ძირი; აარჩიეთ წმინდა ფიჭები, დასჭერით სიფართეზედ, ისე რომ ყოველი უჯრა გაიჭრას, ჩაჰყარეთ ზედა ვედროში, გადააფარეთ რამე, რომ ბუზები არ ჩაცვივდნენ, და რამდენისამე საათის შემდეგ ზედა ვედროში მარტო ფიჭა-ღა დარჩება. ძირ დახვრეტილ ვედროს მაგიერობა შეუძლიან საცერსაც. ეს თაფლი უკეთესი თუ გამოვა მანქანით გაწურულზედ, თორემ უარესი მაინც არაფრით არ იქნება. ასე გაუთბობლად თაფლის გამოწურვა შესაძლოა მხოლოდ ზაფხულსა და შემოდგომაზედ, ზამთარში-კი ცივს ოთახში ძნელად გაიწურება.

უ. ჩხეიძე

* * *

უფალი ქვეყანასა ზედა მხოლოდ ერთ არს, გარნა უფალი თავისა თვისისა ბევრ, მრავალ.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ფრანგული გაზეთები იუწყებიან, შესანიშნავი არტისტი ქალი სარა ბერნარი საშინლად გატაცებულია თურმე როსტანის ახალის პიესით „L Aiglon“-ით. ამ პიესაში ბერნარი რეიხშტადტის ჰერცოგის ნაპოლეონ I-ის შვილის როლს თამაშობს. ამ როლის შესწავლას არტისტი ქალი მეტად გულმოდგინედ შესდგომია, იმდენად გულმოდგინედ, რომ ვენაში ყოფნის დროს შინაც-კი სამხედრო ტანისამოსს იცვამდა დ ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილი პრინცა. ასეთ ტანისამოსშივე იღებდა სარა ბერნარი თავისს მახლობელთ. მახლობელნი შესვლისთანავე მოწიწებით თავს უკრავდნენ და, როგორც სამეფო გვარეულობის წევრს, მიჰმართავდნენ ხოლმე: „თქვენო უმაღლესობავ!“-ო. სხვათა შორის ვენაში ბერნარის ერთი კარგი ნაცნობი ჩასულა და მაშინათვე არტისტის სადგომისაკენ გაქანებულა. ახლად ჩამოსულს არა სცოდნია, თუ ბერნარი მახლობელთ ამ რიგად იღებდა, ამიტომ შვეიცრისთვის არაფერი უკითხნია და დარბაზში პირდაპირ მოუწადინია შესვლა. მაგრამ შვეიცარს შეუჩერებია: „თქვენ მისის უმაღლესობის ნახვა გსურთ? განა მისმა უმაღლესობამ აუდენცია დაგინიშნათ?“— შეჰკითხებია შვეიცარი. გაშტერებულ სტუმარს პირი დაუღია და ვერაფრის თქმა ვერ მოუხერხებია. „მიბოძეთ თქვენი სადარბაზო ბარათი“—უთქვამს ხელ-ახლა შვეიცარს, გამოურთმევია ბარათი და შესულა შიგნით, შემდეგ უკანვე დაბრუნებულა და გამოუცხადებია: „მობრძანდით, მათი უდიდებულესობა შინა ბრძანდებიან და თქვენი ნახვა სურთო“. სტუმარი უფრო გაშტერებულა, მაგრამ შესვლისთანავე, რა დაუნახავს პრინცის ტანისამოსში გამოწყობილი სარა ბერნარი, მიხვედრილა ყველაფერს და სიცილი დაუწყია.

## გამოსადეგი ცნობა

თუ გინდათ ძაფს ჩვეულებრივზედ მეტი სიმაგრე მისცეთ, ორი ნაწილი წებოსი გახსენით 60 ნაწილ წყალში და ამ სითხეში რამდენსამე ხანს ამოფუთ ძაფი, მერე ამოიღეთ და მუხის ქერქის ნახარშში ამოავლეთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 იანვარი.

**კაპშტადტი.** დღევანდელ დილამდე არავითარი ცნობა არ მოსულა იმის შესახებ, რომ ბულლერი ტუგელზედ კვლავ გადასულიყოს.

**პრეტორია.** კოლსბერგიდგან მოსულის დეპეშით იუწყებიან, რომ ბრიტანიის ჯარი შვიდის მილის მანძილზედ მიუახლოვდა ახტერფანგსაო.

**ფრინსბურგი.** შენიშნეს, რომ დღეს ბურები მუშაობდნენ ახალის სიმაგრის ასაგებად არტილერიის მოსათავსებლად. ბრიტანიის ჯარმა სროლა დაუწყო, გარეკა იქიდგან და აგებული სიმაგრეც დაანგრიეს ყუმბარებით.

**ლონდონი.** დღეს ჯონრედმონდი ერთ ხმად იქმნა ამორჩეული ირლანდიის ნაციონალისტთა დასის მეთაურად.

საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა წაიკითხა პირობანი, რომლითაც სპარსეთს სესხი აქვს აღებული რუსეთისაგან და დასძინა: „ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, ვითომ რაიმე მორიგება არსებობდეს და ამ მორიგების ძალით ბენდერ-აბბასის საბაჟოს შემოსავალი რუსეთს ამ სესხის წინდად ჰქონდეს. როდესაც ადრესის შესახებ განახლდა ლაპარაკი, ასკვიტმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას არა ჰქონდა აზრად ბრძოლა აეტეხნა და დაეწყო და კრიუგერს შეეძლო თავიდგან აეცილებინა სისხლის ღვრაო. დასაწყისში ჩვენი წინადადებანი უარყოფილ იქმნა და ამას მოჰყვა შემოსევა და ბრიტანიის მიწა-წყლის მათ მიერ დასაკუთრებაო. ჩვენ ჩვენს მოვალეობად და საჭიროებად მიგვაჩნია განვაგრძოთ ომი და ამასთან ქვეყანას უნდა დავუმტკიცოთ ერთობა, რომელიც არსებობს ჩვენს პარლამენტსა და ერს შორის (მოწონების ხმა გაისმის). ჩვენ ამ აზრის განხორციელებასა და საქმის ისე გარდაწყვეტას უნდა ვესწრაფებოდეთ, რომ სამხრეთ აფრიკაში ორსავე მოდგმას თანაბარი უფლებანი ჰქონდეს მინიჭებული. ხელმძღვანელ დედა აზრად უნდა წარვიმძღვანოთ არა პირველობა, არამედ თანასწორობა. ერთის მოდგმის გავლენიანობის ადგილი მეორე მოდგმის გავლენიანობამ არ უნდა დაიჭიროს.“ დასასრულ ფიცმორისის წინადადება უარ ყოფილ იქმნა 352 ხმის უმეტესობით 139 წინაღმდეგ.

**ლონდონი.** ლედი-სმიტის ახლოს მოდდერ-სპრუიტთან მყოფ ბურების ბანაკიდგან იუწყებიან, რომ 24 იანვარს, დილის 5 საათზედ, ზარბაზნების სროლაა დაწყებულიო.

**ვენა.** „Weue Freie Presse“ იუწყება, რომ ფეოდალთა ძლიერ ჩეხების დელეგატებს შორის უსიამოვნება მოხდა, რადგან ფეოდალები არ მიემხრნენ იმ განცხადებას, რომელიც ძლიერ ჩეხების სახელით შეიტანა გუშინ ცნეგელმა ჩეხიისა და მორავიის საქმეთა კომისიაშიო. იმავე გაზეთის სიტყვით, ნემეცთა რადიკალ დეპუტატებს ეგერის კავშირისას მინისტრ პრეზიდენტისათვის განცხადება წარუდგენიათ, რომელშიაც ამბობენ, რომ დაცულ იქმნას სახელმწიფო უფლებრივი მდგომარეობა ეგერის კავშირისა ჩეხიის მიმართ და წინააღმდეგობას აცხადებენ ჩეხიურის ენის ეგერისა და რაშის ოლქებში შემოღების გამო.

**ამსტერდამი.** ნიდერლანდის ბანკმა დისკონტი დასწია 4-დგან $3^1/_2$%-მდე.

**მოსკოვი.** რკინის გზის შტოზედ, რომელიც ეხლა გაჰყავთ, სარანსკის სადგურთან გუშინ დაიწვა უშველებელი მუშათა ფარდული. დაიწვა ათის თავი და დაშავდა რამდენიმე მუშა.

**ბრიუსელი.** ბრიუსელის ბანკმა დასწია დისკონტი 4 ნახევრიდგან 4%-მდე.

**ლონდონი.** გაზ. „Standard“-ს აუწყებენ კაპიესდამიდგან 24 იანვარს, რომ გენერალი მაკდონალდი მოვიდა გუშინ გეიკლენდერთა ბრიგადით, არტილერიით და ულანთა რაზმით. დუმლაში კარგს დროს მოუსწრო, რადგან ხელი შეუშალა ბურების ორ ძლიერ რაზმის შეერთებას. ამ ქამად მისი ჯარი მდინარის ორსავე ნაპირს დაიჭერს. მოწინავე ჯართა შორის უკვე იყო სროლა.

საზოგადოებათა პალატა. დასასრულ კამპბელ ბანნერმანმა სარჩელი დაუწყო ოპპოზიციას და სთქვა, მას უფლება აქვს გაჰკიცხოს მთავრობა, რადგან „გალლები რომის კართან არ არიანო“ და ქვეყანა ჩვენი დამცირებული სულაც არ არის, პირ-იქით, იგი ისე იქცეოდა, რომ გასაოცარია მისი ასეთი მოქმედება. ოპპოზიციასა ჰსურს, რომ ომი განგრძობილ იქმნას და დასასრული ჩქარა ჰქონდეს, იგი სამხრეთ აფრიკაში მშვიდობიანობასა და თანხმობას არის მოწადინებული, ისეთს დაბოლოვებას ომისას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ჩვენს ერს შეიარაღებულ შემოსევისა და სხვა მოდგმის გავლენიანობისაგან და პოლიტიკურს თანასწორობას დაამყარებს. ბალფურმა სთქვა, რომ წინადადება, გაკიცხვა გამოცხადდეს მთავრობასაო, მიმართულია ჩემბერლენის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ყოველ ასეთ კითხვებზედ მაღლა სდგას, რადგან მისის თანამდებობაში ყოფნის დროს დიდმა ბრიტანიამ პირველად შეიგნო, რა არის იგი და რა დანიშნულება აქვს; იმისს ნიჭს უნდა ვმადლობდეთ, რომ ყველა ახალშენი შეუერთდა ერთმანეთს მეტროპოლიისათვის საბრძოლველად.

ტრანსვაალის ელჩი ლეიდსი და მისი მდივანი იუნგერ-გებენი 27 იანვარს მიდიან ბერლინიდგან.

**კაპშტადტი.** ფელდმარშალი როპერტსი და გენერალი კიტჩინერი კაპშტადტიდგან წავიდნენ.

27 იანვარი

**პეტერბურგი.** კავკასიის მეხუთე მსროლელთა ბატალიონს ებრძანა ამიერიდგან იწოდებოდეს კავკასიის მეხუთე, მისის იმპერატორებით უმაღლესობის, დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის სახელობის ბატალიონად.

გენერალ-მაიორი სამოილოვი დანიშნულ იქმნა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორად.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ჰბრძანა ასტრახანის გუბერნიის ქალაქ ცარევის საპატიო მოქალაქეებად იწოდებოდნენ პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი და პოლკოვნიკი თავ. ორბელიანი.

იუსტიციის სამინისტროს მეორე დეპარტამენტის დირექტორს, ტაინი სოვეტნიკს შმემანს ებრძანა დაესწროს ხოლმე უმართებულეს სენატში და გამიჯვნის ნაწილის მმართველად იყოს იუსტიციის მინისტრის ამხანაგის უფლებით.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ბულლერი 26 იანვარს კვლავ გადავიდა ტუგელს და ლედი-სმიტის გზაზედ იმყოფებაო.

**ბურების ბანაკი ლედი-სმიტთან, 26 იანვარი.** გუშინდელის დილიდგან ბრიტანიელები ბურების სიმაგრეებს ზემო ტუგელთან ზარბაზნებს უშენენ. ბრიტანიის ჯარი მდინარეს გადავიდა პონდრიფტთანა და მოლენდრიფტთან, რათა იერიშით აიღოს პონტდრიფტთან მყოფი სიმაგრე. გენერალმა ბურგერმა უკუაქცია და ისინი არეულნი უკანვე გადავიდნენ ტუგელზედ. მოლენდრიფტთან კვლავ ბრძოლაა ბურებთან. ბურების მხრივ არავინ მოუკლავთ. გუშინ ინგლისელები ტუგელთან დიდად დაზარალდნენ.

**პეკინი.** ეხლა ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ იმპერატრიცა ვერ გაჰბედავს ფორმალურად დამხობას იმპერატორისას, რადგან ჰშიშობს, რომ ამას წინააღმდეგობას გაუწევენ სამხედრო ჩინეთშიო.

**პარიჟი.** „Figaro“-ს თანამშრომელი Whist-ი სწერ: „მე ამას წინად აღვნიშნე რუსეთის იმპერატორის რესკრიპტი მისის გარეშე საქმეთა მინისტრის მიმართ, რომელშიაც იგი აქებს მინისტრის მოხერხებულს მოქმედებას. ქებათა შორის, რომელსაც უთვლის კეთილშობილი ხელმწიფე, პირველი ადგილი უჭირავს ქებას რუსეთ ჩინეთის მოლაპარაკების წარმატებით დაბოლოვების გამო, რითაც რუსეთს შეძლება მიეცა თავისი გავლენა დაემყარებინა.

„როდესაც ინგლის-ტრანსვაალის ომი ასტყდა. რუსეთი უკვე დიდს წარმატებაში იყო და მან შემდეგ რუსეთის დიპლომატიამ ბევრგან გაიმარჯვა. სპარსეთშიაც ძველისძველი ტრადიცია ინგლისისა ის იყო, რომ ნიადაგი მოემზადებინა ინგლისის ყოვლად ძლიერების ათვის და ამის გამო ებრძოლა რუსეთთან ყოველ დღე და ყოველ საათს, მაგრამ რუსეთის მთავრობის ბრძნულმა მოქმედებამ გააუქმა ყოველივე ანგარიში ინგლისისა სპარსეთში“. დასასრულ Whist-ი ამბობს: „ხვალ რომ ეგვიპტეში ამბავი რამე ასტყდეს, მაშინ ვნახავთ, რა დარჩება ბრიტანიის ძლიერებიდგან საზღვრებზედ, სადაც იგი, მისის სიტყვით, უზრუნველ-ყოფილია ყოველ შემთხვევისაგან“-ო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ადრესის გამო კამათი განეგრძობა. რედმონდმა შეიტანა ირლანდიის ნაციონალისტთა წინადადება რომ მოისპოს ომი და რესპუბლიკები დამოუკიდებლად იქმნენ ცნობილნიო. ირლანდიელთა თანაგრძნობაო, განაცხადა რედმონდმა; ბურებისა, სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ არისო. ინგლისი ბრწყინვალე კი არა, სამარცხვინო მდგომარეობაში იმყოფება, განკერძოებულია და მარტოოდენ ოსმალეთის წყალობითა ჰსარგებლობსო (ირლანდიელთა სკამებიდგან ტაშის ცემის ხმა გაისმის).

**ბომბეი.** გუშინ გარდაცვალებულმა რიცხვმა არა-ჩვეულებრივამდე აიწია—408. ეპიდემიური ხასიათი ეძლევა სხვა სნეულებანსაც. საქმეთა ვითარება კიდევ იმითი მწვავდება, რომ აქ დამშეულ ადგილების მცხოვრებნი გადმოიხვეწნენ.

## შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ იმერეთის ეპარქიის სალხინოს ეკკლესიის მრევლ შორის შეკრებილი 7 მან. მღვდლის სერაფიონ დადუნაშვილისაგან. აქამდე რედაქციასა ჰქონდა მიღებული 508 მან. 12 კაპ., ამითი შესდგა 515 მ., 12 კ.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მისის თანადასწრებით, 1900 წლის 5 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: უნდა გაიცეს იჯარით სამის წლის ვადით ახლად გადაკეთებული ქალაქის ქარვასლა (შიოევისეული), რომელიც ქალაქის მეექვსე ნაწილში, აბანოებთან იმყოფება. ქარვასლასა აქვს 4 მაღაზია ოთხის ოთახით, სარდაფებით და ფეხის ადგილით სართულში; რვა ოთახია სამზარეულოთი, ბალკონით და ფეხის ადგილით მეორე სართულში და 4 ოთახი ბალკონით და ფეხის ადგილით ზევითა სართულში, ქარვასლის მეელს ნაწილში.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გაიცნოს დაწვრილებითი პირობები ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ორ საათამდე. (ფ—ნ.—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



### ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

### „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია:** დიდი ქილა — 2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთეკო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერივნის მოედ. სააფთეკო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთეკო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—72)